



ბრძანება N 39

„28“ 02 2017 წელი

ქ. თბილისი

მასწავლებლის შიდა შეფასების სტანდარტიზებული ინსტრუმენტების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე და 61-ე მუხლების, „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს 2015 წლის 20 თებერვლის N68 დადგენილების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დაფუძნების, მისი დებულების დამტკიცებისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის“ დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 20 ივლისის N714 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 29 დეკემბრის N163/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტისა და სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის უწყვეტი პროფესიული განვითარების სამსახურის უფროსის 2017 წლის 28 თებერვლის N190418 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

გბრძანებ:


1. დამტკიცდეს მასწავლებლის შიდა შეფასების სტანდარტიზებული ინსტრუმენტები თანდართული სახით.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2016 წლის 18 იანვრის N13 ბრძანება „შიდა შეფასების სტანდარტიზებული ინსტრუმენტების დამტკიცების შესახებ“ და 2016 წლის 18 იანვრის N14 ბრძანება „სასწავლო რესურსისა და რეცენზირებული პროფესიული ლიტერატურის შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“.
3. დაევალოს ცენტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფის სამსახურს ამ ბრძანების საჯაროდ გამოცხადება ცენტრის ვებგვერდზე - tpdc.gov.ge განთავსებისა და ცენტრის ადმინისტრაციულ შენობაში ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე ღიად განთავსების გზით.
4. ბრძანება ძალაში შედის საჯაროდ გამოცხადებისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საჯაროდ გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, N6.)

გიორგი მაჩაბელი

დირექტორი

სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე

მანანა რატიანი



სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

ნინო უჩანეიშვილი



სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის იურისტი

თეონა კაპანაძე

